

„ინკლუზიური დიალოგი -
ეფექტიანი სოციალური
პოლიტიკისათვის“

თემის საჭიროებები ბაღდათის
მუნიციპალიტეტში

2019

ინიციატივა სოციალური ცვლილებებისათვის
(ISC)

თბილისი, საქართველო

ბაღდათის მუნიციპალიტეტის თემის საჭიროებების შეფასების დოკუმენტი მომზადდა ორგანიზაციის ინიციატივა სოციალური ცვლილებებისათვის (ISC) მიერ, პროექტის „ინკლუზიური დიალოგი - ეფექტური სოციალური პოლიტიკისათვის“ ფარგლებში. პროექტს ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს(LDA) პარტნიორ ორგანიზაციებთან - ააიპ ქალები რეგიონული განვითარებისთვის და ააიპ პედაგოგთა კავშირი განათლება და სამყარო, ერთად ახორციელებს ზესტაფონისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტში.

კვლევითი ჯგუფი მადლობას უხდის კვლევაში მონაწილეებს - ადგილობრივი მუნიციპალიტეტის, საკრებულოს, თემის წარმომადგენლებსა და მომსახურების მიმღებ პირებს, ანალიზისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოგროვების პროცესში გაწეული დახმარებისა და კვლევაში ჩართულობისათვის.

კვლევის გუნდი:

მკვლევარი: თამარ ივანიძე, სოციალური მუშაობის მაგისტრი (MSW)

მკვლევარი: ნინო დემეტრაშვილი, სოციალური მუშაობის მაგისტრი (MSW)

წარმოდგენილი კვლევა შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო - LDA და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

შინაარსი

შესავალი.....	4
კვლევის მიზნები და ამოცანები.....	5
კვლევის შეზღუდვები.....	5
კვლევის ეთიკური საკითხები.....	6
კვლევის მეთოდოლოგია.....	6
ძირითადი მიგნებები.....	8
რეკომენდაციები.....	10
საჭიროებათა ანალიზის შედეგები.....	12
1.გამოწვევები და თემის შესაძლებლობები.....	12
1.1 მიზნობრივი ჯგუფები.....	14
1.2 თემის შესაძლებლობები.....	21
2.ადგილობრივ დონეზე არსებული დახმარებები.....	22
3.კოორდინაციის მექანიზმები.....	28
4.მონაწილეთა რეკომენდაციები.....	31
დანართი.....	34
სადიკსუსიო გეგმა / გზამკვლევი მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისთვის.....	34
სადიკსუსიო გეგმა / გზამკვლევი თემის ფორმალური და არაფორმალური ლიდერებისთვის.....	35
სადიკსუსიო გეგმა / გზამკვლევი მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებისთვის.....	36
გამოყენებული ლიტერატურა:.....	33

შესავალი

წინამდებარე ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა პროექტის „ინკლუზიური დიალოგი ეფექტური სოციალური პოლიტიკისათვის“ ფარგლებში, რომელსაც ევროკავშირის მხარდაჭერით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო“ (LDA) ახორციელებს, პარტნიორ ორგანიზაციებთან - “ქალები რეგიონული განვითარებისთვის” და “პედაგოგთა კავშირი განათლება და სამყარო” ერთად. პროექტი მიზნად ისახავს ზესტაფონისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტებში სოციალური მომსახურების მიწოდების სისტემის გაუმჯობესებას და ინკლუზიური თანამშრომლობითა და ადგილობრივ თვითმმართველობასთან დიალოგის გზით, უკეთესი და საჭიროებებზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკის შემუშავებას.

პროექტის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა ფოკუს ჯგუფები, ადგილობრივ დონეზე არსებული საჭიროებებისა და შესაძლებლობების შეფასების მიზნით. დამატებით გამოყენებულ იქნა პირისპირ ინტერვიუს მეთოდი. ასევე, გამოთხოვილ იქნა რელევანტური პროგრამული და სტატისტიკური ინფორმაცია ადგილობრივი მუნიციპალური სამსახურისა და სოციალური მომსახურების სააგენტოდან. შეფასებაში მონაწილეობა მიიღეს თვითმმართველობის სტრუქტურების (საკრებულო, გამგეობა, მერია) წარმომადგენლებმა, თემის ფორმალურმა ლიდერებმა, აქტიურმა მოქალაქეებმა და სერვისებით/პროგრამებით მოსარგებლე პირებმა. სულ შესაძლებელი გახდა 4 ფოკუს ჯგუფის განხორციელება და მასში დაახლოებით 40-მდე მონაწილის ჩართვა. ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, ჩატარდა არაფორმალური ინტერვიუ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურის ხელმძღვანელთანაც.

საჭიროებების შეფასების ანალიზის შედეგად, შესაძლებელი გახდა თემში არსებულ ძირითად სოციალურ პრობლემებთან მახასიათებლების იდენტიფიცირება. წამყვან პრობლემათა შორის, სიღარიბე და უმუშევრობა, მიგრაციის მაღალი მაჩვენებელი, ხანდაზმულებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სერვისების ნაკლებობა, მარტოხელა მშობლებისა და მრავალშვილიანი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის სოციალიზაციისა და განვითარებისთვის არსებული ლიმიტირებული შესაძლებლობები გამოიკვეთა. დამატებით ანგარიშში ხაზი გაესვა სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო უწყებებს შორის კოორდინაციის საკითხებს, რაც მნიშვნელოვან გამოწვევად იკვეთება პროგრამების საჭიროებებთან შესაბამისობის კუთხით. წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს, მონაწილეთა მიერ გაცემულ რეკომენდაციებსაც.

აღსანიშნავია, რომ კვლევის შეზღუდვებიდან გამომდინარე, საჭიროებათა შეფასებისას გამოკვეთილი გამოწვევები და ძირითადი მიგნებები არ იძლევა მოპოვებული ინფორმაციის მთელს პოპულაციაზე გავრცობის შესაძლებლობას, თუმცა წარმოაჩენს თემში არსებულ ძირითად ტენდენციებს და ხელს უწყობს პროექტით გათვალისწინებული აქტივობების მიზანმიმართულ განხორციელებას.

დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას, გამოყენებული მეთოდოლოგიის, ინსტრუმენტისა და შედეგების შესახებ. ასევე, აღწერილია შეზღუდვები და ის ეთიკური საკითხები, რომელთა გათვალისწინებითაც განხორციელდა საჭიროებათა შეფასება და მომზადდა ანალიზი. დანართის სახით წარმოდგენილია ფოკუს ჯგუფების განხორციელების ინსტრუმენტები.

კვლევის მიზნები და ამოცანები

ბაღდათის მუნიციპალიტეტში თემის საჭიროებების შესწავლის მიზანს ერთი მხრივ, წამყვანი სოციალური პრობლემების იდენტიფიცირება, მათი პრიორიტეტულობის განსაზღვრა და მეორე მხრივ, ადგილზე არსებული შესაძლებლობების შეფასება წარმოადგენდა. შესაბამისად, თვისებრივ კვლევას აქცენტად აღებული ჰქონდა იმ სოციალური საჭიროებებისა და პრობლემების გამოვლენა, რომელთა მოგვარებაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადგილობრივ დონეზე მოწყვლადი ჯგუფების კეთილდღეობის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე მის ამოცანებად განისაზღვრა:



კვლევის შეზღუდვები


პროექტის ამოცანებიდან გამომდინარე, ბაღდათის მუნიციპალიტეტში თემის საჭიროებების შესწავლა განხორციელდა მხოლოდ ფოკუს ჯგუფების მეთოდის გამოყენებით (4 სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან თითო ფოკუს ჯგუფი და 1 არაფორმალური ინტერვიუ), რაც თავისთავად, ლიმიტირებულ ინფორმაციას იძლევა და ვერ ექნება პრეტენზია შედეგების რეპრეზენტატულობაზე.

ამასთანავე, აქტიური მოქალაქეების, ფორმალური ლიდერებისა და ბენეფიციარების ჯგუფების დაკომპლექტებაში ორგანიზაციას მხარი დაუჭირა ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა, შესაბამისად, მონაწილეთა დამოკიდებულებები შესაძლოა იყოს მეტად პოზიტიური ხასიათის, ვიდრე იმ პირებისა, რომლებსაც არ ჰქონიათ მომსახურების მიღების, ან დადებითი თანამშრომლობის გამოცდილება ადგილობრივ თვითმმართველობებთან. ამიტომ, მათ პასუხებზე დაყრდნობით მიღებული შედეგების განზოგადება მთლიანად ბაღდათის მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე არამართებულია.

არსებული შეზღუდვები არ უშლის ხელს ანალიზის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებულ იქნას, როგორც ძირითადი ტენდენციების გაზომვის ინსტრუმენტი, რომლის გათვალისწინებითაც შესაძლებელია მოხდეს ახალი პროგრამების განვითარება და/ან არსებულის მოდიფიცირება.

კვლევის ეთიკური საკითხები

ფოკუს ჯგუფები განხორციელდა შემდეგი ეთიკური პრინციპების დაცვით.



კვლევის მეთოდოლოგია


კვლევის ფარგლებში ინფორმაციის შეგროვება განხორციელდა, როგორც პირველადი ინფორმაციის წყაროებისგან ფოკუს ჯგუფების გამოყენებით, ასევე, გადამოწმებულ იქნა მეორეული წყაროები, რაც მოიაზრებს დოკუმენტაციის, მათ შორის არსებული სტატისტიკური და სხვა სახის მონაცემების დამუშავებას შეფასების მიზნებისთვის.

თვისებრივი კვლევის მეთოდად განისაზღვრა ფოკუს ჯგუფები. ჯგუფების დაკომპლექტებისას, გათვალისწინებულ იქნა მონაწილეთა საერთო მახასიათებლები, რაც ხელს უწყობდა ჯგუფის წევრებს შორის გულწრფელობის გამოწვევას, ნდობას და საუბრის თავისუფალ მსვლელობას. ფოკუს ჯგუფისას გამოყენებული იქნა ნახევრად-სტრუქტურირებული სადისკუსიო გეგმა, რაც ერთი მხრივ, იძლეოდა შეხვედრის წინასწარ დაგეგმილი ჩარჩოს შესაბამისად წარმართვის შესაძლებლობას და მეორე მხრივ, რესპონდენტებს აძლევდა საშუალებას წამოეწიათ საკვლევი საკითხების შესაბამისი სხვა თემებიც. საუბრის თავისუფალი მსვლელობა დაეხმარა მონაწილეების აქტიურ ჩართულობასა და საკვლევ საკითხებზე სიღრმისეული ინფორმაციის მოპოვება/დაზუსტებას.

ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა მიიღო 40-მდე ადამიანმა (საშუალოდ 10 ადამიანი 1 ჯგუფში). ჩატარდა 4 ფოკუს ჯგუფი. ჯგუფების მონაწილეები შეირჩა სხვადასხვა კრიტერიუმის გათვალისწინებით. ფოკუს

ჯგუფების ფორმირებისას ყურადღება გამახვილდა გენდერული ბალანსის დაცვაზე და დაახლოებით 12-მა კაცმა და 28-მდე ქალმა მიიღო მონაწილეობა.

ჯგუფურ დისკუსიებში ჩართული იყვნენ შემდეგი მონაწილეები: 1) ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურების (საკრებულო, გამგეობა, მერია) წარმომადგენლები; 2) ადგილობრივი მუნიციპალიტეტის პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციარები; 3) თემის არაფორმალური ლიდერები; 4) თემის აქტიური წევრები, რომლებსაც სხვადასხვა პროექტში მონაწილეობისა და ან მათი განხორციელების გამოცდილება ჰქონდათ.



ფოკუს ჯგუფების საშუალო ხანგრძლივობამ შეადგინა 1-დან 1,5 საათამდე. ჯგუფური დისკუსიები ჩაიწერა აუდიო საშუალებების გამოყენებით, რომელთა საფუძველზეც მომზადდა დეტალური ტრანსკრიპტები. ანალიზის საბოლოო ეტაპისთვის მოხდა ძირითადი მახასიათებლების და იმ ინდიკატორების გამოვლენა, რომლებიც ამ მახასიათებლების ემპირიულ შინაარსს აჩვენებდა. საჭიროებათა შეფასების საფუძველზე მომზადდა რეკომენდაციები, რომელთა შესრულებაც ხელს შეუწყობს მუნიციპალურ დონეზე სოციალური მომსახურებების დაგეგმვასა და მიწოდების გაუმჯობესებას.

ძირითადი მიგნებები

ბაღდათის მუნიციპალიტეტის თემის საჭიროებების შესწავლის ძირითადი მიგნებები წარმოდგენილია თემატური საკითხების შესაბამისად, რომელთა გამოვლენაც შესაძლებელი გახდა კვლევის ფარგლებში.

- **თემში არსებული მწვავე სოციალური პრობლემები:** სიღარიბე, ისევე როგორც უმუშევრობა არის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადგილობრივ დონეზე ოჯახების კეთილდღეობის მდგომარეობასა და მათი ცხოვრების ხარისხზე. შეფასების ფარგლებში აქტუალურ სოციალურ პრობლემათა შორის გამოიკვეთა მიგრაციის მაღალი მაჩვენებელიც, რაც დადებით კორელაციაშია რაიონში მცხოვრები ბავშვებისა და ახალგაზრდების რაოდენობის შემცირებასთან. ქვეყანაში არსებულ მდგომარეობასთან მიმართებით, საგულისხმოა, რომ წამყვანი სოციალური პრობლემები ადგილობრივ დონეზეც იმავე სიმძაფრით არის წარმოდგენილი.
- **განსაკუთრებულად მოწვევადი ჯგუფები:** საჭიროებათა შეფასების შედეგად ვლინდება, რომ თემში ყველაზე მეტი პრობლემის წინაშე დგანან მრავალშვილიანი ოჯახები და მარტოხელა დედები, რომლებსაც ერთი მხრივ ბავშვებზე ზრუნვის გამო უჭირთ დასაქმება და მეორე მხრივ, საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებაშიც არ ჰყოფნით მიღებული დახმარებები. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ, ნათელია, რომ ადგილზე სარეაბილიტაციო მომსახურებების დეფიციტია, რის გამოც ოჯახებს უწევთ რაიონის დატოვება. ამასთან, არ არსებობს დაზუსტებული მონაცემებიც როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კუთხით. მუდმივი ზრუნვის საჭიროების მქონე პირებს და განსაკუთრებით ხანდაზმულებს არ მიუწვდებათ ხელი ღირსეულ ზრუნვაზე, მსგავსი მომსახურების არარსებობის გამო. ამასთან, დეფიციტურია ბავშვებისა და ახალგაზრდების სარეკრეაციო და არასასკოლო საგანმანათლებლო სივრცეებიც.
- **ბინადრობის საკითხი:** იკვეთება, რომ მზარდია იმ ოჯახების რაოდენობა, რომლებიც ითხოვენ თავშესაფრით დაკმაყოფილებას. არ არსებობს თემში ისეთი ბერკეტი და პროგრამა, რომელიც დაეხმარება საჭიროების მქონე ოჯახებს გაძლიერებაში, რათა გარკვეული დროის შემდეგ მათ თავად უზრუნველყონ ოჯახები საცხოვრებლით. გამოცდილება აჩვენებს, რომ ის ოჯახები, რომელთა ქირით დაკმაყოფილებაც უზრუნველყო მუნიციპალიტეტმა, ხანგრძლივად დარჩნენ ამ მომსახურების მიმღებთა სიაში.
- **ძალადობის გავრცელება:** არაერთგვაროვანი აღმოჩნდა მონაწილეთა დამოკიდებულება ოჯახური ძალადობის მიმართ. ნაწილი თვლის, რომ ბაღდათის თემისთვის ძალადობა ნაკლებად აქტუალური საკითხია, რაც გამოიხატა კიდევ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებულ სტატისტიკურ მონაცემშიც, რომლის მიხედვითაც მიმდინარე წელს მხოლოდ 3 მიმართვა განხორციელდა ძალადობის შემთხვევაზე რეაგირების მიზნით. საქართველოში ძალადობის გავრცელების მასშტაბების გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ არ ხდება ოჯახური ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირება და მიმართვიანობა ბავშვთა დაცვის სამსახურებისადმი.
- **მიღებული მომსახურებების შესაბამისობა საჭიროებებთან:** არსებული დაფინანსება გათვლილია ერთჯერად გასაცემლებზე, რასაც დიდი ცვლილების გამოწვევა და ოჯახებისათვის გრძელვადიანი სარგებელის მოტანა არ შეუძლია. არსებული პროგრამების პირობებში, მწვავე სოციალური

პრობლემები რეაგირების გარეშე რჩება და არ იძლევა ოჯახების მდგომარეობის ცვლილების ისეთ შესაძლებლობას, რაც მათი პროგრამებიდან გამოთიშვის წინაპირობა გახდებოდა.

- **დახმარების მიმღებთა სოციალური უნარები:** თანაბარ გამოწვევად იკვეთება სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის გაწეული დახმარების სიმწირე და ამ ოჯახების უნარი, მოახდინონ შემოსავლების ბიუჯეტირება და მიზნობრივად დახარჯვა. დამატებით, საკამათოა დახმარების მიმღებთა მხრიდან დამოკიდებულების გაჩენა ფულად დახმარებებზე, რაც ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა გამოვლინდეს დასაქმების ინტერესების დაკარგვითაც. აქვე, აღსანიშნავია სოფლის მეურნეობის კუთხით მოსახლეობის ჩართულობის შემცირებაც, რასაც ნაკლებ მოსავლიანობა და/ან პროდუქტის რეალიზების გზების შესაძლებლობების სისუსტეც განაპირობებს.
- **სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების შესაბამისობა შემუშავების პრაქტიკა:** ახალი პროგრამების შემუშავება ხდება იმ სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც იწარმოება სოციალური სამსახურის მიერ და აჩვენებს წლის განმავლობაში შემოსულ მომართვებს, გაცემულ დახმარებებს და არ ხდება ბენეფიციართა საჭიროებების შესწავლა. ასევე, ვერ ხორციელდება დახმარების მიმღებთა კმაყოფილების, ან მიღებული შედეგის გაზომვა. შესაბამისად, უცნობია რა გავლენას შეიძლება ახდენდეს მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული დახმარებები. არსებული პროგრამების მოდიფიცირების ხელისშემშლელ ფაქტორებად, მეზობელ მუნიციპალიტეტებში მსგავსი პროგრამების არსებობა და თანხების მობილიზების სირთულე გამოიკვეთა, რასაც ბენეფიციართა ცვლილებების დაბალი მოტივაცია და სოციალურ დახმარებებზე გაჩენილი დამოკიდებულებები ამძაფრებს.
- **კოორდინაცია:** მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული მიმართულებებით ადგილი აქვს სხვადასხვა სამთავრობო უწყებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის დადებით გამოცდილებას (მაგალითად შშმ პირების, ბავშვების დაცვის კუთხით), გამოწვევად რჩება ადგილობრივი თვითმმართველობის სოციალურ სამსახურსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის ინფორმაციის გაცვლის პროცედურები. აღნიშნული კი შესაძლოა განაპირობებდეს მიწოდებული მომსახურებების დაუზუსტებლობას, ბენეფიციართა შესახებ დაუზუსტებელი ინფორმაციის არსებობას და შესაბამისად, პროგრამის მცდარ რაოდენობაზე გათვლას, რეფერირების პროცედურების სირთულეს და სხვა. კოორდინაციის კუთხით, მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო დაწესებულებებს, არასამთავრობო სექტორსა და კერძო სექტორთან თანამშრომლობის გაღრმავება, როგორც პროგრამების შემუშავების, ისე მათი იმპლემენტაციის დონეზე.
- **მუნიციპალიტეტში არსებული რესურსი:** იკვეთება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა მაღალი ინტერესი, განსაზღვრონ თემის საჭიროებები და შესაბამისად შემიმუშაონ და განაახლონ სოციალური პროგრამები. მაღალია ადგილზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებში თანამშრომლობის მოტივაცია გრძელვადიანი და შედეგებზე ორიენტირებული პროგრამების შემუშავების კუთხით. თუმცა შესაფასებელია კერძო სექტორის შესაძლებლობები, რათა მოხდეს მათი ჩართულობის წახალისებაც ადგილზე სოციალური პრობლემების მოგვარებაში.

რეკომენდაციები

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, განისაზღვრა იმ რეკომენდაციათა ჩამონათვალი, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მუნიციპალური პროგრამების ეფექტიანობის გაზრდას, რაც საბოლოოდ, მოწყვლადი ჯგუფების კეთილდღეობის მდგომარეობაზე დადებითად აისახება. რეკომენდაციები წარმოდგენილია ანალიზის შედეგად გამოვლენილი გამოწვევების საპასუხოდ და მოწოდებულია გრძელვადიან და მოკლევადიან პერიოდში განსახორციელებელ აქტივობებად.

მოკლევადიან პერიოდზე გათვლილი რეკომენდაციები:

- 2020 წლის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნეს კვლევით გამოკვეთილი თემის საჭიროებები და მუნიციპალიტეტის არსებული რესურსის გათვალისწინებით, გატარდეს ყველა შესაძლო ღონისძიება საჭირო პროგრამათა მოდიფიცირებისა და განვითარებისთვის კუთხით;
- სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის პროგრამასა და სოციალური დახმარების გაცემის წესში ყველა პროგრამასთან მიმართებით დეტალურად და ნათლად გაიწეროს იმ სამიზნე ჯგუფების ჩამონათვალი, რომლებსაც კონკრეტული დახმარების მიღება შეუძლიათ (მაგალითად, კრიზისში მყოფი, სასადილოთი მოსარგებლე). ასევე, მიეთითოს მოსალოდნელი შედეგები, რისკები და ინდიკატორები;
- გადახედო იქნეს არსებული პროგრამები და პარტიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით, შემუშავდეს ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების განახლებისა და განვითარების კონცეფცია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა;
- მოძიებულ იქნას შინ მოვლის საჭიროების მქონე პირთა შესახებ ინფორმაცია და დაიგეგმოს შესაბამისი პროგრამის განვითარება და მიწოდება;
- გადაიხედოს საბინაო პოლიტიკა და შემუშავებულ იქნეს პრობლემის გადაჭრის გრძელვადიანი კონცეფცია;
- მუნიციპალიტეტმა გასწიოს შუამდგომლობა/ადვოკატირება ადგილზე მომუშავე სატრანსპორტო კომპანიასთან სამუშაო საათების გაზრდისა და სტუდენტებისათვის შეღავათების დაწესების კუთხით;
- მოძიებულ იქნეს ფინანსური რესურსი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დღის ცენტრის დაფუძნებისთვის და გათვალისწინებულ იქნას მსგავსი ცენტრების მუნიციპალიტეტის ბაზაზე მუშაობის პრაქტიკები;
- სოციალური მომსახურების სააგენტოსთან კოორდინაციის მიზნით, მომზადდეს და გაფორმდეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, სადაც გაწერილი იქნება მუნიციპალური დახმარებების მიმღებ ბენეფიციართა გადამისამართებისა და მათ შესახებ ინფორმაციის გაცემის წესი და პროცედურები;
- მომზადდეს და დაიგეგმოს ბენეფიციართა საჭიროებების შესწავლის შიდა მექანიზმი, რაც საფუძველი უნდა გახდეს მუნიციპალური პროგრამების შემუშავებისა და განვითარების;
- შემუშავდეს და ყოველწლიურად განახლდეს პოტენციურ ბენეფიციართა შესახებ მონაცემთა სისტემა, სადაც თავს მოიყრის მოწყვლად ჯგუფებად გამოკვეთილ პირთა შესახებ რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები;
- დასახული მიზნების მიღწევის მიზნით, განისაზღვროს ადამიანური და მატერიალური რესურსის საჭიროება და დაიწყოს მუშაობა რესურსების მობილიზებაზე;

- გატარდეს ყველა შესაძლო ღონისძიება თანამშრომელთა ცოდნისა და უნარების შეფასებისა და შესაბამისი გადამზადების მიზნით, მოძიებულ იქნეს რესურსი;
- შემუშავებულ იქნას გაწეული მომსახურებების ეფექტიანობისა და ზეგავლენის შეფასების ინსტრუმენტი, რაც გაზომავს რეალურ გავლენასა და ბენეფიციართა კმაყოფილებას.

გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი რეკომენდაციები:

- ადგილზე მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით, შემუშავდეს მუნიციპალური დახმარებების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდის სტრატეგია და განისაზღვროს ადრეული ჩარევის პროცედურები მერის წარმომადგენელთა ჩართულობით;
- თემის საჭიროებების რაოდენობრივი შესწავლის საფუძველზე, მომზადდეს იმ ჯგუფების სავარაუდო ჩამონათვალი, რომელთათვისაც პრიორიტეტულად განხორციელდება მუნიციპალური დახმარების მიწოდება;
- სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების შემუშავების პროცესი დაეფუძნოს თანამონაწილეობის პრინციპებს, სადაც თემის წარმომადგენლებს მონაწილეობისა და პროცესზე გავლენის მოხდენის საშუალება ექნებათ;
- ცენტრალურ ხელისუფლებასთან კოორდინაციითა და ყველა შესაძლო პარტნიორი ორგანიზაციის ჩართულობით, შემუშავებულ იქნას ადგილობრივ დონეზე მიგრაციის, დასაქმებისა და ახალგაზრული პოლიტიკა;
- შემუშავდეს კერძო სექტორთან თანამშრომლობის კონცეფცია, რათა გაიზარდოს ადგილზე სოციალური პრობლემების დაძლევის კუთხით ბიზნესის ჩართულობისა და წარმატებულ თანამშრომლობის პრაქტიკა;
- განვითარდეს ოჯახის მხარდამჭერი და პრევენციული პროგრამები (ქვეყანაში არსებული გამოცდილების გათვალისწინებით), როგორც სოციალურად დაუცველი, ისე მრავალშვილიანი ოჯახებისა და მარტოხელა მშობლებისათვის;
- შემუშავდეს გრძელვადიანი ხედვის დოკუმენტი (სადაც გაწერილი იქნება სამომავლო ნაბიჯები და სამოქმედო გეგმა), თუ როგორ უნდა მოხდეს ფულადი დახმარების სისტემიდან გრძელვადიან მომსახურების სისტემაზე გადასვლა;
- მუდმივად გადაიხედოს და გაიზარდოს ერთი მხრივ, ადამიანური რესურსის რაოდენობა და მეორე მხრივ, მათი ცოდნა მოწყვლად ჯგუფებთან მუშაობის კუთხით;
- ადგილობრივ თვითმმართველობაში სოციალური მუშაკების დასაქმებამდე დაიწყოს ზრუნა წინამოსამზადებელ სამუშაოებზე;
- დაიგეგმოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა იდენტიფიცირებისა და შესაბამისი მომსახურებისა და მხარდაჭერის მიწოდების მოდელი, მერის წარმომადგენელთა და შემდგომში სოციალური მუშაკების ჩართულობით;
- გაიზარდოს მუნიციპალიტეტის როლი ძალადობის შემთხვევათა გამოვლენისა და რეფერირების მიმართულებით;
- შემუშავებულ იქნას სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამები, რაც მიმართული იქნება თვითდასაქმების შესაძლებლობების განვითარებაზე;
- მუნიციპალიტეტის საქმიანობის დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნას სხვადასხვა სფეროს კვლევის მონაცემები და სფეროთა განვითარებისთვის მნიშვნელოვანი რეკომენდაციები.

საჭიროებათა ანალიზის შედეგები

ბაღდათის მუნიციპალიტეტში თემის საჭიროებების შეფასების ანგარიში წარმოდგენილია საკვლევი საკითხების შესაბამისად და დაყოფილია შესაბამის თემატურ მიმართულებად. თითოეული საკითხი მოიცავს, როგორც ფოკუს ჯგუფების შედეგად მიღებულ, ისე დაინტერესებული მხარეების მიერ მოწოდებულ სტატისტიკურ თუ სხვა ტიპის შინაარსობრივ მონაცემს.

1. გამოწვევები და თემის შესაძლებლობები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ, 2014 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერის¹ მონაცემზე დაყრდნობით, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 21582 შეადგენს, რომელთაგანაც 3 707 ქალაქში, ხოლო 17 875 სოფლად მცხოვრები პირია. ამასთან, მუნიციპალიტეტის მთლიან ბიუჯეტად, 2019 წლის მდგომარეობით, განსაზღვრულია 6,196100 ლარი, რაც 2018 წლის ბიუჯეტთან შედარებით 25%-იან ზრდას აჩვენებს.² მიუხედავად გაზრდილი ბიუჯეტისა და მოსახლეობის მცირე რიცხოვნობისა, იკვეთება, რომ გარკვეული სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად რესურსი არასაკმარისია. მონაწილეთა მიერ, ადგილობრივ დონეზე მნიშვნელოვან გამოწვევებს შორის უმუშევრობა, სოციალურად დაუცველი ოჯახების მაღალი მაჩვენებელი და მიგრაცია (როგორც სოფლებიდან დიდ ქალაქში, ისე საზღვარგარეთ გადინება) ფიქსირდება.

გაეროს ბავშვთა ფონდის 2017 წლის მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის მიხედვით, საქართველოში მოსახლეობის სიღარიბის მაჩვენებელი გაიზარდა. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ შინამეურნეობების 22.5% ფარდობითი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს და სოფლისა და ქალაქის დასახლებებს შორის სხვაობა დიდია (24.1% - 20.9%), ხოლო უმუშევრობის დონე საქართველოში კვლავაც მაღალია.

თავის მხრივ, საქართველოს მიგრაციის საკითხთა კომიტეტის 2017 წლის მონაცემებით³, 2014 წელს მიგრანტთა რაოდენობამ 88,704 შეადგინდა (69,855 საქართველოს მოქალაქე). 2015 წელს კი, უკვე 95,965 ემიგრანტი წავიდა საქართველოდან, რომელთა უმრავლესობა (67,452) საქართველოს მოქალაქე იყო, ხოლო 2016 წელს ემიგრანტთა რიცხვი ოდნავ გაიზარდა და 98,288-ს მიაღწია, თუმცა მათ შორის საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა არ გაზრდილა, მცირედით შემცირდა (64,705). საერთო ჯამში მიგრაციის მაჩვენებლის ზრდა შეინიშნება.

სოციალური მომსახურების სააგენტოს, 2019 წლის აგვისტოს თვის მონაცემთა გათვალისწინებით, ბაღდათის მუნიციპალიტეტში საარსებო შემწეობის მიმღებ პირთა რაოდენობა 2016-ს⁴ (ოჯახი 514) შეადგენს, რაც საერთო მაჩვენებლის 9,3% -ია.

¹ მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

² ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N77; www.bagdati.gov.ge

³ საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი

⁴ www.ssa.gov.ge; საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა

წარმოდგენილი ინფორმაცია მიუთითებს მონაწილეთა მიერ დასახელებულ მწვავე პრობლემებთან მიმართებით, ზოგადად ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე და აჩვენებს, რომ წამყვანი სოციალური პრობლემები ადგილობრივ დონეზეც იმავე სიმძაფრით აისახება.

აღსანიშნავია, რომ ფოკუს ჯგუფების მიერ განსაკუთრებით კრიტიკულად შეფასდა:

- მუნიციპალიტეტში არსებული **დასაქმების შესაძლებლობები**, რაც ერთი მხრივ, განაპირობებს მოსახლეობის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას და მეორე მხრივ, ხდება მიგრაციის წინაპირობა. *„მოსახლეობის უმრავლესობა დაუსაქმებელია და ეკონომიკური მდგომარეობა იწვევს სხვადასხვა კრიზისს. უმეტესობა იმ კრიზისებისა, რაც გვაწუხებს მოდის უმუშევრობიდან. ამას მოყვება სოციალური ფონი, ძალადობის პრობლემები და სხვა უამრავი საკითხი“ (ადგილობრივი თვითმართვებლობის წარმომადგენელი).*
- **მიგრაციის ზრდა**, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება მარტოხელა მოხუცების რაოდენობაზე (იზრდება მაჩვენებელი) და ასევე, აჩენს ბავშვთა უგულვებელყოფის მეტ საფრთხეს. *„მშობლებს დატოვებული ყავთ თავიანთი შვილები და დიდი ნაწილი წასულია საზღვარგარეთ ემიგრაციაში. ბავშვები დარჩენილები არიან მოხუცებთან“ (ფორმალური ლიდერი).*

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს გაუჭირდათ ტიპური და სოციალურად დაუცველი ოჯახების მახასიათებლების ერთმანეთისაგან გამიჯვნა, რაც იმას მიუთითებს, რომ მკვეთრი ზღვარი და დაყოფა ოჯახებს შორის სტატუსების გათვალისწინებით, შესაძლოა მოშლილი იყოს. გამოიყო ოჯახების კატეგორიები, საიდანაც ნაწილი ჩართულია სოფლის მეურნეობის საქმიანობაში და ნაწილი, ძირითადად, თავს უცხოური გზავნილებით ირჩენს. აღინიშნა ისიც, რომ სოფლის მეურნეობაში ჩაბმულ ოჯახებს ექმნებათ პრობლემები მოსავლის რეალიზების კუთხით, რაც მათ იმედგაცრუებასა და ამ საქმიანობის შეწყვეტას განაპირობებს. დამატებით, ცალკე კატეგორიად გამოიყო ისეთი ოჯახები, რომლის წევრებიც დასაქმებულნი არიან საჯარო სამსახურში და ამასთან, ეწევიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასაც. ეს უკანასკნელი მიუთითებს, რომ მიუხედავად დასაქმების სტატუსისა, შემოსავალი ხშირ შემთხვევაში არ არის საკმარისი ოჯახებისათვის და არსებული ვითარება იძულებულს ხდის მათ, სხვა პარალელური საქმიანობითაც დაკავდნენ.

„უფრო ორი ტიპის ოჯახები არის: პირველი, რომელიც დაფუძნებულია და მყარად არის მოჭიდებული სოფლის მეურნეობაზე, ხოლო მეორე ტიპის ოჯახები რომლებიც ძირითადად საზრდოობენ საზღვარგარეთიდან ოჯახის წევრების მიერ გამოგზავნილი თანხებით. არიან ხანდაზმულები და მცირეწლოვანი ოჯახის წევრები, რომლებიც თავს ირჩენენ გამოგზავნილი თანხით. ასეთებს თავიანთი ნაკვეთები მიტოვებული აქვთ. არიან ისეთი ოჯახებიც, რომლებიც დასაქმებულები არიან, საზოგადოებრივ საქმიანობაში და დამატებით მიწათმოქმედებიდანაც აქვთ შემოსავლები. ყველა მხრიდან ეძებენ რაღაცას, რომ არ მოუწიოთ წასვლა და რაიონის დატოვება“.

(ფორმალური ლიდერი)

- სოციალურად დაუცველი ოჯახების კუთხით, ერთ-ერთ გამოწვევად ამ ოჯახების მიერ მიღებული დახმარების მართვის სირთულეც იკვეთება. მიუხედავად გარკვეული სახელმწიფო

ფინანსური დახმარებების არსებობისა, დახმარების მიმღებთა ნაწილს უჭირს მიღებული შემოსავლის მართებულად განკარგვა. *„არის ქრონიკული სიღარიბე. საქმე გვაქვს ცნობიერების დაბალ დონესა და ბიუჯეტების ნაკლებ უნარებთან. ოჯახის ბიუჯეტი სრულად არარაციონალურად იხარჯება“ (ფორმალური ლიდერი).*

- გამოიყო ისეთი ოჯახებიც, რომლებიც საჭიროებენ სოციალურ დახმარებას, თუმცა ვერ შეძლეს დახმარების მიღებისთვის საჭირო ქულის დაგროვება. ოჯახებს შორის **სოციალური დახმარების უთანასწორო გადანაწილება** თემში კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება. ამასთან, სოციალურ დახმარებასთან მიმართებით მრავალგზის აღინიშნა, რომ ამ ტიპის დახმარებები იწვევს დამოკიდებულებას, მიჯაჭვულობას და მიმღებ პირებს თვითდასაქმებას, ან დასაქმებას ურჩევნიათ გარანტირებული დახმარების მიღება. ამას ემატება ისიც, რომ ეკონომიკური და სოციალური კრიზისის შემთხვევაში, ოჯახებს მრავალმხრივი საჭიროებები აქვთ, რაც იძულებულს ხდით, გამოიყენონ დახმარების მიღების ყველა შესაძლო გზა და შესაძლებლობა. მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2017-2019 წლის განმავლობაში ერთჯერადი ფულადი დახმარებით მინიმუმ 2-ჯერ მაინც ისარგებლა ერთი და იგივე ბენეფიციარმა, რომელთა ძირითადი ნაწილი სოციალურად დაუცველია. წლის განმავლობაში კი ერთზე მეტი პროგრამით, დაახლოებით 200 ბენეფიციარი სარგებლობს, რომლებიც ფულად დახმარებებთან ერთად მედიკამენტების, კვების, შშმ პირთა მხარდაჭერის კუთხით არსებულ დახმარებებს იღებენ. აღნიშნული მიუთითებს, რომ საჭიროებები მრავალფეროვანია და დახმარების მიმღებ მოქალაქეებს ვერ აძლევს სერვისის ჯაჭვიდან გამოსვლის შესაძლებლობას. *„თუ სოციალურად დაუცველია და ეკონომიკური კრიზისი აქვს, მაშინ ყველაფერზე მოდის. არიან ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში რამდენჯერმე მოდიან“; „გვყავს ბენეფიციარები, რომლებიც იანვრის თვის დადგომისთანავე, აუცილებლად 10 იანვრამდე წერენ განცხადებას“ (ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლები).*

სოციალურ პრობლემათა შორის პირდაპირპროპორციული კავშირი, საბოლოოდ, თემში ქმნის ურთირთგადაჯაჭვულ პრობლემათა ერთობლიობას, რომლიდანაც რთულია წამყვანი პრობლემის იდენტიფიცირება და ეფექტური რეაგირების დაგეგმვა/განხორციელება. ეს ყოველივე კი ართულებს საჭიროების მქონე ოჯახების ისე გაძლიერებას, რომ მათ შეძლონ სახელმწიფო დახმარებისაგან დამოუკიდებლად არსებობა.

1.1 მიზნობრივი ჯგუფები

თემის საჭიროების განხილვისას, ფოკუს ჯგუფების ფარგლებში გამოიკვეთა იმ სოციალურ ჯგუფთა ძირითადი კატეგორიები, რომლებიც ყველაზე მეტად საჭიროებენ მხარდაჭერას და ამავედროულად, შესაბამისი სერვისების მიღების ნაკლები შესაძლებლობები აქვთ. დასახელდა ისეთი პირებისთვის მომსახურებისა და მხარდაჭერის არასაკმარისი რაოდენობა, როგორებიც არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ახალგაზრდები, ხანდაზმულები და უსახლკარო ოჯახები, მრავალშვილიანი და მარტოხელა მშობლები.

2. ბინადრობის პრობლემის მქონე პირები

მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მზარდია იმ ოჯახების რაოდენობა, რომლებიც ითხოვენ თავშესაფრით დაკმაყოფილებას და ხშირ შემთხვევაში მიმართვიანობა ნაკლებად ობიექტური მიზეზებით ხდება. არის შემთხვევები, როდესაც ხელოვნურად მიმდინარეობს ოჯახების გაყოფა, ან სოფლად მცხოვრებ ოჯახებს სურთ ქალაქში საცხოვრებლად გადმოსვლა, რა დროსაც რთულია რეალური მიზეზებისა და საფუძვლის დადგენა. *„ბინადრობის მოთხოვნაზე რაოდენობა ემატება და კლება არ შეინიშნება. მომართვიანობა იზრდება. საარჩევნო წელი მოდის და ზოგადად ამ დროს განსაკუთრებით იზრდება მომართვები. ხელოვნურად გაყოფა ხდება ოჯახების. იციან, რომ გარეთ ვერ დავტოვებთ.“* (ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენელი).

მომსახურების მიწოდებელთა აზრით, სოციალური საცხოვრისის არსებობამაც კი შესაძლოა ვერ მოახდინოს მოთხოვნის შემცირება, რადგან არ არსებობს თემში ისეთი ბერკეტი და პროგრამა, რომელიც დაეხმარება საჭიროების მქონე ოჯახებს გაძლიერებაში, რათა გარკვეული დროის შემდეგ მათ თავად უზრუნველყონ ოჯახები საცხოვრებლით. არსებული მდგომარეობა თავად თანამშრომლებს უქმნის განცდას, რომ მათი მხარდაჭერა დროებითია და რეალურად არ ემსახურება პრობლემის გრძელვადიან და მდგრად მოგვარებას, რადგან გამოცდილება აჩვენებს, რომ ის ოჯახები, რომელთა ქირით დაკმაყოფილებაც უზრუნველყო მუნიციპალიტეტმა, ხანგრძლივად რჩებიან ამ მომსახურების მიმღებთა ბაზაში და მხოლოდ მინიმალურ შემთხვევათა რაოდენობაში გახდა შესაძლებელი მათი პროგრამიდან გამოთიშვა. *„რჩებიან წლები ამ დახმარების იმედად და რეალური ბერკეტი არ გვაქვს, რომ შევუწყვიტოთ“* (ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენელი).

3. შინ მოვლის საჭიროების მქონე პირები

მიგრაციისას ახალგაზრდების მაღალი გადინების ფონზე, წლიდან-წლამდე აქტუალური ხდება ხანდაზმულთა (და არა მხოლოდ) შინ მოვლის საკითხი, თუმცა არ არსებობს ზუსტი მონაცემი იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენი ადამიანი საჭიროებს თემში მსგავსი ტიპის მომსახურებას. შესაბამისად, არ არსებობს პროგრამა და არ ხდება მომსახურების მიწოდება. გარდა ამისა, საჭიროების მქონე პირები ძირითადად მეზობლებს მიმართავენ დახმარებისათვის და გადაადგილების სირთულეების გამო ნაკლებად მიუწვდებათ ხელი საჭირო სერვისებზე. სწორედ ამის გამოც, შესაძლოა, მათ შესახებ ინფორმაცია ვერ აღწევდეს მუნიციპალიტეტამდე. *„მეზობელი მყავს მარტოხელა ქალია. იმდენ წამალს ყიდულობს, რომ თავის პენსიიდან საერთოდ აღარ რჩება კვების ფული. ოპერაციის შემდგომ მეზობლები ვეხმარებოდით და ვუვლიდით“* (ბენეფიციარები).

შინ მოვლის სერვისი აქტუალურია ქრონიკული დაავადებების ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, რომლებიც მუდმივად საჭიროებენ ზრუნვას და ოჯახის წევრებს უწევთ ამ ზრუნვის განხორციელება. აღსანიშნავია, მზრუნველთა დატვირთვა ტოლფასია სრულგანაკვეთიანი სამუშაოსი, რადგან საშუალოდ ზრუნვის განმახორციელებელი პირების 20% თითქმის სრულ, ან ძირითად დროს

სწორედ ამ საქმიანობას უთმობს⁵. შესაბამისად, შინ მოვლის სერვისის არსებობა ამ ტიპის ოჯახებსაც გაუადვილებთ სათანადო ზრუნვის მიწოდებას.

მონაწილეთა მიერ რთულ სამიზნე ჯგუფად გამოიყო ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირები, რომელთათვისაც შესაძლებელია მედიკამენტების უფასოდ მიწოდება, თუმცა ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ჰყავთ ისეთი ოჯახის წევრი, „პატრონი“, რომელიც მათ მოვლაში იქნება ჩართული. მომვლელის არარსებობის შემთხვევაში, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ, ხდება მათი ჩარიცხვა ფსიქიკური ჯანმრთელობის დაწესებულებებში, რომელიც ადგილზე არ არის და სხვა ქალაქში უწევს ბენეფიციარს გადასვლა.

4. მრავალშვილიანი ოჯახები და მარტოხელა მშობლები

ბაღდათის მუნიციპალიტეტის თემის საჭიროებების შეფასებაში მონაწილე ბენეფიციართა მიერ, ყურადღება გამახვილდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორც არის დასაქმების მსურველი მშობლებისათვის ბავშვის მეთვალყურესთან დატოვების სირთულე. პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა მრავალშვილიანი დედების შემთხვევაში, რომლებსაც ბავშვის დამტოვებელი არ ჰყავთ და მიუხედავად დიდი სურვილისა იყვნენ დასაქმებული, ვერ ახერხებენ სამსახურის შეთავსებას. აღინიშნა, რომ მრავალშვილიანი დედებისთვის სათანადო მხარდაჭერის გაწევა არ ხდება. ეს კი შესაძლოა უარყოფით გავლენას ახდენდეს ამ ოჯახების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ბენეფიციართა ჯგუფის მსჯელობისას, ნათელი გახდა, რომ ხშირ შემთხვევაში სერვისით მოსარგებლები ერთმანეთისაგან იგებენ არსებული მომსახურებების შესახებ ინფორმაციას და მათთვის არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაციის სხვა, ოფიციალური წყაროები.

„მრავალშვილიანების ერთჯერადი დახმარება შარშან და წელს ავიღე. მშობელმა მითხრა. ბევრს არაფერს არ ცვლის ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ მაინც ყურადღების საკითხია და გვიხარია“.

„მთავარი ისაა, რომ ამ საკითხებს ჩვენ ვგებულობთ ერთმანეთისგან, მაშინ, როცა სხვა დროს ადგილობრივი თვითმმართველობა უპრობლემოდ მიირეკავს. უნდა მიეწოდოს ამ ხალხს ინფორმაცია თვითონ ამ სამსახურიდან და ერთმანეთისგან არ უნდა ვიღებდეთ ინფორმაციას“.

(ბენეფიციარები)

მარტოხელა დედები, როგორც ერთ-ერთი მიზნობრივი ჯგუფი დამატებით გამოიყო ფოკუს ჯგუფების ფარგლებში და აღინიშნა, რომ მიუხედავად დაზუსტებული სტატისტიკური ინფორმაციის არარსებობისა, რაიონში მაღალია მათი რაოდენობა და ძირითადად სარგებლობენ სოციალური დახმარებით, ჯანმრთელობის კუთხით შეღავათებით, კვებით და მსგავსი მომსახურებებით (ფორმალური ლიდერებისა

⁵ American Medical Association, 2004

და აქტიური მოქალაქეების ჯგუფი). დახმარებების მიღების საფუძვლად, მუნიციპალიტეტი ითხოვს ცნობას მიმართვის განმახორციელებელი პირის მართხელობის დადგენის მიზნით. ბინადრობის შემთხვევაში, მერის წარმომდგენლის მიერ ხდება ადგილზე ვიზიტი და შემდეგ კომისია იღებს დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილებას.

5. ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვა

არაერთგვაროვანი იყო ოჯახური ძალადობის კუთხით თემში არსებული მდგომარეობის შეფასება სხვადასხვა ჯგუფებში. მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა მიერ განიმარტა, რომ მათთან შემთხვევის დაფიქსირება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც ოჯახის რომელიმე წევრი მიმართავს თავშესაფრის მოთხოვნით (ძალადობის არგუმენტით) და სხვა მხრივ, ნაკლებად ვლინდება მსგავსი შემთხვევები.

აქტიური მოქალაქეების მხრიდან, ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობის შედეგად, ოჯახური ძალადობის საკითხი ამუწურულია და აღარ არის აქტუალური.

„ამოწურა World Vision-მა თუ სადმე ეგეთი პრობლემა იყო. კარგად იმუშავეს და თანდათან ინფორმირებული გახდა სოფელი. დალაგდა სიტუაცია და მამაკაცს ცემის კი არა, ცუდი სიტყვის კადრებისაც ეშინია. აღარ არის უკვე აქტუალური.“

(აქტიური მოქალაქე)

განსხვავებული ინფორმაცია მოგვაწოდეს ფორმალურმა ლიდერებმა, რომლებიც მუნიციპალიტეტის ჩართულობის ვალდებულებაზე აკეთებდნენ აქცენტს. თუმცა აღინიშნა ისიც, რომ ოჯახური ძალადობის გახმაურების შემდეგ, დაჭერილ მოძალადეს კვლავ ოჯახი უხდის გირაოს თანხას და ზრუნავენ მასზე პენიტენციური სისტემაში მოხვედრის შემდეგაც. მსგავსი პრაქტიკა, კი შესაძლოა საზიანო იყოს ძალადობის შემთხვევების გამოვლენის თვალსაზრისით.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა იციან, რომ ბავშვების შემთხვევაში ძალადობის გამოვლენა შეიძლება მოხდეს ერთი მხრივ, საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და მეორე მხრივ, პირველადი ჯანდაცვის რგოლის წარმომადგენლებიდანაც. თუმცა სავარაუდოა, რომ თემში არსებული დამოკიდებულებებიდან გამომდინარე, ნაკლებად ხმაურდება ოჯახური ძალადობის შემთხვევები, რასაც მოწმობს სოციალური მომსახურების სააგენტოდან გამოთხოვილი მონაცემებიც, საიდანაც ჩანს, რომ 2019 წელს (ივნისის მონაცემებით) მხოლოდ 3 მიმართვა განხორციელდა, 2018 წელს კი მხოლოდ 1 ოჯახური ძალადობის შემთხვევა დაფიქსირდა. ეს კი იმის ფონზე, როდესაც გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ 2013 წელს

განხორციელებული ეროვნული კვლევის შედეგებმა აჩვენეს მოსახლეობის მაღალი ტოლერანტობა ბავშვებზე ფიზიკური ძალადობის, როგორც დისციპლინის სახის დასჯის მიმართ.

შეტყობინებების ასეთი დაბალი მაჩვენებელი, შესაძლოა სწორედ კულტურულ თავისებურებებზე მიუთითებს და არა რეალურ მდგომარეობაზე. შესაბამისად, სარეაბილიტაციო თუ მხარდამჭერი პროგრამების განვითარების საჭიროებაც ამ ეტაპამდე არ დამდგარა.

6. ბავშვები და ახალგაზრდები

ბავშვებისა და ახალგაზრდების საჭიროებების კუთხით, ერთი მხრივ, გამოიყო ბავშვთა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა - *„ყოველ მეორეს უჭირს, ყოველ მეორეს შეიძლება პურიც არ აქვს. ბავშვები დადიან ქუჩა-ქუჩა, პური მაჭამეთო. არ უნდა ფული ეგეთს, საჭმელი მიეცი, საჭმელი“ (ბენეფიციარი)* და მეორე მხრივ, ყურადღება გამახვილდა ახალგაზრდებისთვის არსებულ შეზღუდულ რესურსებზე, სტაჟირებისა და დასაქმებისა ნაკლებ შესაძლებლობებზე, რის გამოც მათი უმრავლესობა სასწავლებლად ქალაქში წასვლის შემდეგ უკან აღარ ბრუნდება.

ჩამოთვლილ სირთულეებს ემატება მონაწილეთა დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაცია, რომ შობადობა, ისევე როგორც სასკოლო ასაკის ბავშვების კონტინგენტი, შემცირებულია რაიონში.

ადგილობრივი თვითმმართველობიდან გამოთხოვილი მონაცემების თანახმად, განათლების, კულტურის და სპორტის ღონისძიებათა პროგრამის ასიგნებები 45 000 ლარს შეადგენს, საიდანაც 3 კომპონენტი - კულტურული, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები, თანაბრად 15-15 ათასი ლარით ფინანსდება, თუმცა ეს თანხებიც, ძირითადად, ერთჯერად აქტივობებსა და ტურნირების ორგანიზებაზეა მიმართული.

ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად გამოიკვეთა ტრანსპორტირების საკითხიც, რაც განსაკუთრებით აქტუალური სოფლად მცხოვრები მოზარდებისთვისაა, რადგან ტრანსპორტი მხოლოდ 19:00 საათამდე მოძრაობას და საღამოს საათებში რთულდება გადაადგილება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ახალგაზრდებისთვის რაიმე გასართობი, ან შემეცნებითი აქტივობა დაიგეგმება ქალაქში, ბევრი სწორედ ტრანსპორტირების პრობლემის გამო ვერ ახერხებს ჩართვას. *„აქტივობები, როდესაც იგეგმება არის საღამოს საათებში და ახალგაზრდებს უჭირთ დაბრუნდნენ სოფლებში და უწყვეტ არ მიიღონ მონაწილეობა“ აქტიური მოქალაქე).*

თემის საჭიროებებს შორის გამოიყო სარეკრეაციო ზონებისა და გასართობი ადგილების ნაკლებობაც, რაც მოზარდებს ერთმანეთთან კომუნიკაციის, სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვისა და მათში მონაწილეობის საშუალებას მისცემდათ.

⁶ ბავშვთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა, UNICEF, 2013

7. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები


შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების კუთხით, ფოკუს ჯგუფების უმრავლესობაში გამოიკვეთა დღის ცენტრის შექმნის აუცილებლობის საკითხი, რაც ერთი მხრივ, მშობლებს მნიშვნელოვნად გაუადვილებდათ ბავშვზე ზრუნვას, ჩართულ პირებს მისცემდათ რეაბილიტაციისა და უნარების განვითარების უკეთეს შესაძლებლობებს და ასევე, ხელს შეუწყობდა რეაბილიტაციის მიზნით ქალაქიდან გადინების პრევენციას. დღის ცენტრის მნიშვნელოვნებას ხედავენ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებიც.

„აუცილებელია დღის ცენტრის შექმნა. ბავშვები მიდიან ქალაქებში მომსახურების მისაღებად და თანდათან გადადიან იქ საცხოვრებლად. დღის ცენტრის არსებობის შემთხვევაში, ვინც რაიონიდან წავიდა ოჯახით შევინარჩუნდებით. მიიღებენ მათ საჭიროებაზე მორგებულ მომსახურებას.“

(ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი)


სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დღის ცენტრით 2019 წლის მდგომარეობით, 2 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი სარგებლობს, ხოლო რეაბილიტაცია-აბილიტაციის პროგრამაში ჩართულია 6-14 წლამდე ასაკის 7 ბავშვი. სტატისტიკურ მონაცემზე დაყრდნობით ირკვევა, რომ სულ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 1306 პირია სოციალური დახმარების/სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები.

ცხრილი #1: შშმ პირთა რაოდენობა სტატუსის მიხედვით



სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს ზრდასრულ პირთათვის დანიშნულ მეურვეთა რაოდენობასაც, საიდანაც ჩანს, რომ შეზღუდული შესაძლებლობების კუთხით, 2019-ში მსგავსი შემთხვევა არ დაფიქსირებულა, თუმცა მხარდამჭერის მიმღები პირები მოწოდებულ მონაცემებში ასახულია.

ცხრილი #2: მეურვე-მზრუნველთა რაოდენობა



ისევე, როგორც საქართველოს ბევრ ქალაქში, ბაღდათშიც გამოწვევად დგას შენობებისა და სივრცის ადაპტირების საკითხი, რაც ეტლით მოსარგებლებს უზღუდავს თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობას. ამასთან, დადებითად შეფასდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილი მოძრავი პანდუსი, თუმცა თავისთავად, მხოლოდ ეს ვერ იქნება საკმარისი საჭიროების მქონე პირების საზოგადოებაში იტეგრაციის თვალსაზრისით.

„შშპ პირების კუთხით ადაპტირებაა პრობლემა. ეტლით მოსარგებლები სხვისი დახმარების გარეშე ვერ გადიან გარეთ. არის ტრანსპორტი, რომელიც გვემსახურება, საჩუქარია მერიისგან, მაგრამ მეტად გვინდა ჩართული ვიყოთ სხვა ღონიძიებებშიც. შშპ პირებთან მიმართებით არის ტრანსპორტის ადაპტირების პრობლემაც და შეუძლებელია, ყველა აქტივობის დროს მათთან მივიდეს ტრანსპორტი და წამოიყვანოს. ადვილად მოგვარებადი არა, მაგრამ მწვავე პრობლემაა.“

(აქტიური მოქალაქე)

მიმდინარე წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტის სოციალურ სამსახურში დაფიქსირდა აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვიანი ოჯახების მომართვებიც, რაც შესაძლოა ამ კუთხით თემის გააქტიურებას მიუთითებდეს და ნელ-ნელა გამოავლინოს მათი საჭიროებები.

1.2 თემის შესაძლებლობები

ბაღდათის მუნიციპალიტეტის თემის შესაძლებლობების კუთხით, აუცილებელია აღინიშნოს ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენელთა მაღალი ინტერესი, განსაზღვრონ საჭიროებები და შესაბამისად შეიმუშაონ და განაახლონ სოციალური პროგრამები, რაც მათი ეფექტიანობის გაზრდის საშუალებას მისცემთ. ამას ემატება მუნიციპალიტეტის დონეზე სოციალური პროგრამების მიმართ გაზრდილი ინტერესი და ბიუჯეტი. ასევე, გააზრება იმისა, რომ გრძელვადიან ეფექტზე მიმდინარე პროგრამებით გასვლა შეუძლებელია, ხოლო არსებული მოდიფიცირების მხრივ მაღალი მოტივაციაა საჭირო, პოზიტიური ცვლილებების წინაპირობად შეიძლება შეფასდეს.

მნიშვნელოვანია ადგილზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების (მაგალითად, World Vision საქართველო, LDA) მხრიდან მხარდაჭერის მზაობა. ორგანიზაციები თავად არიან დაინტერესებული ისეთი პროექტების ინიცირებითა და შემდგომი თანამშრომლობით, რაც მდგრად და გრძელვადიან შედეგებზე გასვლისათვის საკვანძოა.

დადებითად უნდა იქნეს შეფასებული შეზღუდული შესაძლებლობების კუთხით არსებული ინტერესი (პარასპორტის მხარდაჭერა, ჯანმრთელობაზე ზრუნვა, საკურორტო მომსახურება) და დღის ცენტრის განვითარების მზაობა, რასაც შეუძლია დადებითი გავლენა იქონიოს თემში შშმ პირების სოციალიზაციაზე.


აუცილებელია, ცალკე შეფასდეს კერძო სექტორის შესაძლებლობებიც, რადგან ნაწილობრივ შეინიშნება მათი დაინტერესება (მაგალითად, British Petroleum-ის მცირე გრანტების პროგრამა) სოციალურ-ეკონომიკური პროექტების განხორციელების კუთხით და სასურველია მეტი თანამშრომლობისა და ინტერესის წერტილების გამოძებნა, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით, რაც ორივე მხარისთვის სასარგებლო და შედეგის მომტანი იქნება.

2018 წელს, სოციალური მუშაობის შესახებ მიღებული კანონი მიუთითებს მუნიციპალურ დონეზე სოციალური მუშაკის ინსტიტუტის დანერგვის საჭიროებას, რაც ასევე დადებით გავლენას მოახდენს ოჯახების ინდივიდუალური საჭიროებების გამოკვეთასა და პრევენციული მომსახურებების უკეთ დაგეგმვასა და დროულ მიწოდებაზე. სოციალური მუშაკების როლი, ნაწილობრივ გააზრებულია სოციალური სამსახურის წარმომადგენლების მიერ. შესაბამისად, სამსახურის ამ კუთხით გაძლიერება, დადებით გავლენას იქონიებს ერთი მხრივ, ბენეფიციართა ადრეულ იდენტიფიცირებაზე და მეორე მხრივ, საჭიროებებზე მორგებული მომსახურებების განვითარებაზე.

8. ადგილობრივ დონეზე არსებული დახმარებები

სოციალური მომსახურების სააგენტოს, 2019 წლის აგვისტოს თვის მონაცემთა გათვალისწინებით, ბაღდათის მუნიციპალიტეტში საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა 2016-ს⁷ (ოჯახი 514) შეადგენს, ხოლო სოციალური პაკეტის მიმღები 1541 პირია⁸, სახელმწიფო პენსიაზე მყოფ პირთა რაოდენობა კი 5387, საიდანაც ყველა ასაკობრივ ჯგუფში ქალთა რაოდენობა ჭარბობს.

ცხრილი #3: პენსიის მიმღებთა განაწილება ასაკობრივ ჯგუფში




ამასთან, ასაკობრივი პენსიის გარდა, მიმდინარე წელს 138 მარჩენალდაკარგული ფიქსირდება, რომლებიც იღებენ განსხვავებულ სოციალურ პაკეტს სახელმწიფო გასაცემლის სახით.

ცალკეა იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა და მათზე გაცემული დახმარების მაჩვენებელი, რომელთა შორისაც მხოლოდ მცირედი სხვაობა შეინიშნება.


⁷ www.ssa.gov.ge; საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა

⁸ იქვე, სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა რაიონებისა და თანხის ოდენობის მიხედვით;

ცხრილი #4: იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა



ცხრილი #5: იძულებით გადაადგილებულ პირებში დახმარების მიმღებთა რაოდენობა



აღსანიშნავია ისიც, რომ კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების მიზნით, ადგილობრივი სოციალური სამსახურისათვის მიმართვის მხოლოდ 4 შემთხვევა დაფიქსირდა და სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ, მინდობით აღზრდაში მხოლოდ 5 ბავშვია განთავსებული, რასაც შესაძლოა შემთხვევათა გამოვლენის სირთულე განაპირობებდეს.

გაეროს ბავშვთა ფონდის განმარტებით⁹, სოციალური დაცვის სისტემები შექმნილია იმისათვის, რომ უპასუხოს ადამიანთა წინაშე მათი სიცოცხლის განმავლობაში მდგარ გამოწვევებს როგორც ბავშვობის, ისე ზრდასრულობისა და სიბერის პერიოდის ჩათვლით. სოციალური დაცვის სისტემები ძირითად შემთხვევაში სწორედ სიცოცხლის ციკლის განმავლობაში დაუცველობის ყველაზე კრიტიკული მიზეზების გადაჭრაზეა მიმართული.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ბიუჯეტით გასაზღვრულია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის საკითხები. ბაღდათის მერიის პრიორიტეტებს შორის წელს ინფრასტრუქტურასთან ერთად, სწორედ სოციალური საკითხები მოხვდა. აღნიშნულიდან გამომდინარე გაზრდილია პროგრამული ბიუჯეტი და შესაბამისად, სავარაუდო ბენეფიციართა რაოდენობაც.

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ჩამონათვალი 16 ძირითად მიმართულებას მოიცავს, სადაც სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ: სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად გაჭირვებული ოჯახები, ომის მონაწილეები და დაღუპულ მებრძოლთა ოჯახები, ხანდაზმულები, მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახები, სტიქიის შედეგად დაზარალებული პირები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახები, დიალიზით მოსარგებლე, დევნილი და ჩერნობილის ელექტრო სადგურის რეაბილიტაციაზე მომუშავე პირები.

სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ასიგნებათა განაწილების ცხრილი

ლონისძიებების დასახელება	სულ გასაცემი თანხა	გასაცემი თანხა ერთეულზე	შენიშვნა
სოციალურად დაუცველ და ეკონომიურად გაჭირვებულ ოჯახის წევრებზე სამედიცინო გამოკვლევის, მკურნალობის, საოპერაციო და სამკურნალო მედიკამენტებისათვის საჭირო თანხების ნაწილობრივი უზრუნველყოფისათვის	162 000	----	
დიდი სამამულო ომის მონაწილეებისა და ტერიტორიული მთლიანობის მებრძოლთა ოჯახებისათვის სარიტუალო მომსახურების თანხა- ოჯახში ომის მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში	2 000	250	
საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების დახმარებისათვის	3 000	200	
უფასო სასაბიუჯეტო დაფინანსებისათვის	50 000	----	
ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	30 000		
მე-2 შვილის შექმნისათვის		200	
მე-3 შვილის შექმნისათვის		300	
მე-4 და შემდეგი შვილის შექმნისათვის		400	
ტყუპების შექმნისას		600	
სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯი	40 000	----	
ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახები დახმარება	10 000		
სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთა და სხვადასხვა მიზეზების გამო უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფისათვის	30 000		
კრიზისულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ოჯახების ფინანსური დახმარება	40 000	----	

⁹ ბავშვთა კეთილდღეობა და სოციალური დაცვა საქართველოში, UNICEF, 2015


ვეტერანთა დახმარებისათვის	10 000	-----	
შშმ პირთა დახმარება	32 000	-----	
18 წლამდე ასაკის შშმ ბავშვთა ფინანსური დახმარება	10 000	150	
შშმ პირების სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებებისა და სხვა აქტივობების დაფინანსება	22 000		
ჩერნობილის ატომური ელ. სადგურის აღდგენითი სამუშაოების მონაწილეთა დახმარება	2 400	200	
დღეგრძელი (100 და მეტი წლის ასაკი) მოქალაქეთა დახმარება	1 600	400	
დიალიზით მოსარგებლე მოქალაქეთა დახმარება	33 000	170	
18 წლამდე ასაკის ობოლ ბავშვიანი ოჯახების დახმარება	5000	100	თითოეულ ბავშვზე გასაცემი თანხა
მარტოხელა მშობლის ფინანსური დახმარება	3 000	200	
მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური დახმარება	10 000	50	თითოეულ ბავშვზე
მარტოხელა და დევნილი ოჯახების გარდაცვლილ წევრთა დაკრძალვის ხარჯები	3 000	300	
სულ	427 000		

აღსანიშნავია, რომ პროგრამების უმრავლესობა ორიენტირებულია ერთჯერად ფულად დახმარებაზე (გარდა უფასო სასადილოს კომპონენტისა და სამედიცინო დახმარებისა¹⁰), რომლის მინიმალური ოდენობა 50 ლარიდან 600 ლარამდე მერყეობს (თითოეულ პირზე გასაცემელი თანხა). გამონაკლისია სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახები, რომლებიც მაქსიმუმ 2500 ლარს ღებულობენ. დახმარების გაცემის წესით განსაზღვრულია თითოეული პროგრამის მიზნობრიობა, მითითებულია პროგრამით მოსარგებლე პირთა აღწერა და გაცემისთვის საჭირო დოკუმენტების ნუსხა. პროგრამების მიზნობრიობა უმრავლესად ნათელია, თუმცა რამდენიმე შემთხვევაში საჭიროებს დაკონკრეტებას. ბუნდოვანია ისეთი კატეგორიების ბენეფიციართა მახასიათებლები, რომლებიც შედიან მაგალითად, კრიზისული დახმარების, ან უფასო სასადილოთი მოსარგებლე პირთა ბაზაში. ორივე შემთხვევაში დახმარების გაცემა ხდება კომისიის გადაწყვეტილებით, თუმცა არ ჩანს რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ოჯახი, რომ მიიღოს აღნიშნული დახმარება.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული დახმარებების ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ დახმარების მიმღებ პირთა რაოდენობა უმნიშვნელოდ იცვლება წლების განმავლობაში და ხშირ შემთხვევაში მეორდება კიდევ. ასევე, არ შეინიშნება პროგრამებში მნიშვნელოვანი ცვლილებები.

¹⁰ დახმარება გაცემა ერთჯერადად, თუმცა არ ხდება თანხის მოქალაქისათვის ჩარიცხვა

ცხრილი #6: მუნიციპალური სოციალური დახმარების მიმღებთა რაოდენობა



ბაღდათის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ, 2017 წელს ჯამში დაკმაყოფილდა 1267 ბენეფიციარი და დახარჯულმა თანხამ შეადგინა 655 774 ლარი. 2018 წელს, სულ შესაძლებელი გახდა 1689 ბენეფიციარისათვის დახმარების გაცემა, რამაც ჯამში 351 448 ლარი შეადგინა, ხოლო მიმდინარე წელს უკვე თანხა გაიკა 1098 ბენეფიციარზე. გამოყოფილი 427 000 ლარიდან გახარჯულია 264 569, ხოლო წლის ბოლომდე დარჩენილი 162 431 ლარის გაცემა განსაზღვრული. გაზრდილი ბიუჯეტის მიუხედავად, წლებს შორის დახმარების მიმღებთა რაოდენობა მხოლოდ მცირედით იცვლება. ზემოთ წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, რომ ბენეფიციართა დიდი ნაწილი, ისევე როგორც ბიუჯეტი, თავმოყრილია სოციალურად დაუცველთა სამედიცინო მომსახურებების ველში.

აღსანიშნავია, რომ პროგრამაში არ გვხვდება ცალკე სამიზნე ჯგუფებად ის კატეგორიები, რომლებიც კვლევის ფარგლებში გამოიყო, როგორც განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფები. ახალგაზრდები, ძალადობის მსხვერპლი, შინ მოვლის საჭიროების მქონე პირები მომსახურების მიღმა არიან. ამასთან, მრავალშვილიანთათვის ან მარტოხელა მშობლებისთვის გაცემული ერთჯერადი დახმარებები, ისევე როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 18 წლამდე ან ზრდასრული პირებისთვის მიწოდებული დახმარება, ზემოთ განხილული მრავალმხრივი საჭიროებებიდან გამომდინარე, ვერ ჩაითვლება მათ საჭიროებებზე პასუხად. შესაბამისად, არსებული პროგრამები მთლიანობაში ვერ უზრუნველყოფს იმ სამიზნე ჯგუფების მდგომარეობის გაუმჯობესებას, რომლისთვისაც იქმნება. „ყველა პროგრამა (გარდა 2-ისა) ემსახურება ერთჯერად ფულად დახმარებას. ისეთი, რომ ოჯახის გაძლიერებას გრძელვადიანად ემსახურებოდეს არ გვაქვს საერთოდ. ფაქტობრივად, არ არსებობს ეგეთი პროგრამა, რომ რაღაც შედეგი

მოგვეცეს“ (ადგილობრივი თვითმართველობების წარმომადგენლები). ის გამოწვევები, რომლებიც წინა თავში იქნა მიმოხილული, ფაქტობრივად დახმარების ამ პირობებში რეაგირების გარეშე რჩება და ერთჯერადად, თუნდაც რამდენიმე პროგრამიდან მიღებული ბენეფიტი, არ იძლევა ოჯახების მდგომარეობის ცვლილების შესაძლებლობას. სწორედ ამიტომ, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ზუსტად განისაზღვროს და შეფასდეს ადგილობრივი რესურსები გრძელვადიანი პროგრამებისა და თემის საჭიროებების გათვალისწინების ჭრილში.

პროგრამების შემუშავების კუთხით, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან დისკუსიისას გამოიკვეთა, რომ ახალი პროგრამების შემუშავება ხდება იმ სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც იწარმოება სოციალური სამსახურის მიერ და აჩვენებს წლის განმავლობაში შემოსულ მომართვებსა და გაცემულ დახმარებებს. გამომდინარე იქიდან, რომ სოციალურ სამსახურთან მიმმართველ პირებს შორის წლიდან-წლამდე შესაძლოა მეორდებოდნენ ბენეფიციარები (2017-2019 წლებში 2-ჯერ მაინც ისარგებლა ერთი და იგივე ბენეფიციარმა), თავისთავად, მხოლოდ ამ მონაცემთა გათვალისწინებით საჭიროებების განსაზღვრა არამართებულია, რადგან ის არ იქნება სრული და ობიექტური რეალობის ამსახველი. ამას ემატება ისიც, რომ ვერ ხდება მოსახლეობის დახმარების მიმღებთა კმაყოფილების, ან მიღწეული შედეგის გაზომვა. შესაბამისად, უცნობია რა გავლენას შეიძლება ახდენდეს მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული დახმარებები. ფოკუს ჯგუფების მონაწილეებს ნაკლებად ჰქონდათ მუნიციპალური პროგრამების შექმნის პროცესში ჩართვის გამოცდილება - „ნაკლებად ვართ ჩართულები პროგრამების შემუშავებაში“. „იმდენად არ კეთდება არაფერი, ასეთ შეხვედრაზეც რომ დაუძახო ადამიანს, არ მოვა, რადგან განცდა აქვთ, რომ ტყუილად არის, არაფერი არ იცვლება. თუკი მისი მიტანილი საკითხი გადაიჭრა, მერე ჩათვლის რომ აქვს აზრი“ (ბენეფიციარები).

სამწუხარო რეალობად გამოიკვეთა, რომ არსებული პროგრამების მოდიფიცირებასა და ახალი პროგრამების შემუშავებას, გარკვეულწილად ხელს უშლის, მეზობელ მუნიციპალიტეტებში არსებული დახმარებები, რის შესახებაც მოსახლეობა ინფორმირებულია და მსგავსი დახმარებების ბაღდათში გაუქმება მათ უკმაყოფილებას გამოიწვევს. ამასთან, საჭიროებებზე მორგებული პროგრამების შემუშავების კუთხით, სირთულეს თანხების მობილიზების საკითხიც წარმოადგენს. ფინანსურ საკითხებთან ერთად თავს იჩენს ბენეფიციართა დაბალი მოტივაცია ცვლილებების თვალსაზრისით და დამოკიდებულება სოციალურ დახმარებებზე.

„გრძელვადიან პროგრამაში შეიძლება მეტი დახარჯოს სახელმწიფომ, მაგრამ იქნება შედეგი, რომ ოჯახი ფეხზე დადგება. ახლა გამორიცხულია მივალწიოთ იმას, რომ ვინმე გამოაკლდეს ამ პროგრამებს. გრძელვადიანად გათვლილი პროგრამა უნდა იყოს. საარსებო უნდა შევუქმნათ რამე“.

(ადგილობრივი თვითმართველობების წარმომადგენლები)

მუნიციპალიტეტს შემუშავებული აქვს დებულებები ახალგაზრდების, შშმ პირთა და გენდერული საბჭოების კუთხით, რომელიც ამ მექანიზმის ადგილზე მუშაობას არეგულირებს და აძლევს თემის წევრებს მმართველობის პროცესში ჩართულობისა და ჯგუფის წევრთა სახელით მონაწილეობის

შესაძლებლობას. თუმცა, რამდენად ხდება პრაქტიკაში დებულების განხორციელება, რთული სათქმელია. კვლევის მონაწილეებს არ ჰქონდათ მსგავს შეხვედრებში მონაწილეობის მიღების გამოცდილება.

რაც შეეხება დამატებით სხვა ღონისძიებებს, შეზღუდული შესაძლებლობების კუთხით, ფოკუს ჯგუფში დადებითად შეფასდა მუნიციპალიტეტის მიერ მხარდაჭერილი პარასპორტი, თუმცა თავისთავად სამიზნე ჯგუფის მხოლოდ ნაწილის მოცვაა ამ პროგრამით შესაძლებელი. ფუნქციონირებს საკურორტო მომსახურებაც (დასასვენებლად შშმ პირისა და ოჯახის წევრის წყევანა), სადაც ასევე რესურსი საკმარისი არ არის და მხოლოდ მიზნობრივი ჯგუფის მცირე კონტიგენტს ფარავს. *„როდესაც ვსაუბრობთ, რომ რაღაც კეთდება, ეს არ ნიშნავს, რომ 100%-იანი დატვირთვით კეთდება. ეს გამორიცხებულია. ეს არის შედარებითობის პრინციპიდან გამომდინარე. არ არსებობს განცხადება დარჩეს განუხილველი და მასზე არ იმსჯელოს კომისიამ, თუმცა ყველაფერი მიდის თანხამდე. თუ იქნება 2-3ჯერ მეტი, ამდენივე შშმ პირი ჩაერთვება და 2-3ჯერ მეტი აქტივობები განხორციელდება. ბუნებრივია 10-ობით პირს კიდევ სჭირდება მსგავსი დახმარება. თანხა მთავარი“ (აქტიური მოქალაქეები).*

9. კოორდინაციის მექანიზმები

მოწყვლად მდგომარეობაში მყოფ ოჯახებს მრავალმხრივი საჭიროებები აქვთ და სწორედ ამ კუთხით დგება უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლის, ბენეფიციართა გადამისამართებისა და კოორდინირებულად მუშაობის საჭიროება. ძირითად დაინტერესებულ მხარეებად იკვეთება ადგილობრივი სოციალური მომსახურების სააგენტო, სამედიცინო დაწესებულებები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია.

სოციალური მომსახურების სააგენტო


- კოორდინაციის კუთხით მნიშვნელოვან გამოწვევად დგას სააგენტოს მიერ საარსებო შემწეობის არგაცემის, ან შეწყვეტის შემთხვევაში ბენეფიციართა მიმართვიანობის საკითხი ადგილობრივი თვითმმართველობისადმი, რომელსაც არ გააჩნია ბერკეტი, გავლენა მოახდინოს მიღებულ გადაწყვეტილებაზე (თუნდაც ისეთ შემთხვევებშიც, კი როდესაც ბენეფიტების გადანაწილება მერის წარმომადგენლების დაკვირვებით არაათანაბარია). სამსახურს აქვს შესაძლებლობა, გადაწყვეტილების გადახედვის თაობაზე შუამდგომლობით მიმართოს სააგენტოს, თუმცა შუამდგომლობის დაკმაყოფილების, ან შეცვლილი გადაწყვეტილების მაგალითი არ არსებობს. *„შუამდგომლობა შეგვიძლია, მაგრამ მოდის პასუხი, რომ მას მინიჭებული აქვს ქულა და შემდეგი გადამოწმება მომდევნო წელს მოხდება. შუამდგომლობაზე არანაირ რეაგირებას არ ახდენს სოციალური სამსახური“ (ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი).*
- ინფორმაციის გაცვლის მკაცრი პროცედურები თანამშრომლობის ხელისშემშლელ გარემოებად ფიქსირდება. განსაკუთრებით რთულია ადგილობრივი მუნიციპალიტეტისათვის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, რაც წლის განმავლობაში პროგრამული ბიუჯეტის უკეთ განსაზღვრაში დაეხმარებოდათ. ინფორმაციის

გაცვლის პროცედურები არ არის განსაზღვრული მემორანდუმით და პერსონალური ინფორმაციის დაცვის მოტივით, ვერ ხდება ამ საკითხზე თანამშრომლობა.

- ასევე, პროგრამების გამოცდების, დუბლირების თავიდან არიდების მიზნით, არ ტარდება შესაბამისი ღონისძიებები და ინფორმაციის გაცვლა ნაკლებად ხდება „სამწუხაროდ, შეზღუდული გვაქვს სტატისტიკის გაცვლა, ძირითადად ხდება სიტყვიერი ინფორმირება. იციან ჩვენი პროგრამების შესახებ და რაც ჩვენ არ გვაქვს მერე ცდილობენ თვითონ შექმნან სხვა“ (ფორმალური ლიდერი).
- ჯანდაცვის პროგრამების შემუშავებისას, არ ხდება სფეროს წარმომადგენელთა ჩართვა, რაც დაეხმარებოდა უფრო გავრცელებულ ჯანმრთელობის პრობლემებზე პროგრამების აქცენტირებას. „ისეთი დაავადებები არის ნუსხაში ჩამოწერილი, რომ ზოგი არც არის საჭირო. ვფიქრობ კარგი იქნებოდა პროგრამები რომ დამუშავდება სამუშაო დოკუმენტი გაეგზავნოს სოციალური მომსახურების სააგენტოს და ყველას გვკონდეს ჩვენი წვლილის შეტანის შესაძლებლობა. ყველას შენიშვნები და წინადადებები იქნება განხილული“ (ფორმალური ლიდერი).
- წარმატებული თანამშრომლობის შესაძლებლობას ართულებს მატერიალურ რესურსთან დაკავშირებული საკითხებიც, რასაც ბიუჯეტში არსებულ ლიმიტთან მივყავართ. „გვაქვს შეხვედრები მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან. პრობლემებს კი ბევრს წარმოვადგენთ, მაგრამ თანხები არ არის საკმარისი“ (ფორმალური ლიდერი).

თანამშრომლობის არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, მინიმალურია მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური მომსახურების სააგენტოში გადამისამართებულ ბენეფიციართა რაოდენობაც.

ცხრილი #7. გადამისამართებულ ბენეფიციართა რაოდენობა



მიზნობრივ ჯგუფებთან კომუნიკაცია

- პროგრამების შემუშავების კუთხით, ნაკლებად ხდება სერვისის მიმღებთა შეხედულებების გათვალისწინება და პოლიტიკის დაგეგმვა ვერ ხორციელდება თანამონაწილეობითი პრინციპების გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, რომ ადგილზე არსებობს სპეციალური საბჭოები, რომლის წევრთა დანიშნულება სწორედ გადაწყვეტილებების მიღებისა და ბიუჯეტირების პროცესში ჩართულობაა, ეს ვერ უზრუნველყოფს ბენეფიციართა საჭიროებების სრულ გამოვლენას.
- ახალგაზრდების კუთხით, არსებობს მცირე დაფინანსების შესაძლებლობა, თუმცა მონაწილეთათვის ბუნდოვანია რა კრიტერიუმებით ხდება გადაწყვეტილებების მიღება და პროექტების დაფინანსება. ბიუჯეტი ერთი მხრივ მცირეა და მეორე მხრივ, მოთხოვნილია დიდ პოპულაციაზე პროექტის აქტივობების გავრცელება.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან კოორდინაცია

- იკვეთება, რომ აქტიურად მუშაობენ, როგორც ადგილობრივ დონეზე დაფუძნებული, ისე საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა თანამშრომლობითაც შესაძლოა პროექტების დაგეგმვა/განხორციელება. *“World Vision-თან გვაქვს თანამშრომლობა. შექმნილია ბავშვთა დაცვის ჯგუფი, სადაც ჩვენი წარმომადგენლებიც არიან გაწევრიანებული და სკოლებში, ბაღებში ვმუშაობთ ძალადობის აღმოფხვრაზე“ (ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი).*
- აქტიური მოქალაქეების მხრივ, მიუხედავად მათი სხვადასხვა პროექტებში ჩართულობისა, ეს ღონისძიებები მიბმულია კონკრეტულ პროექტზე, არ აქვს გრძელვადიანი ხასიათი და ვერ ინარჩუნებს საკითხით დაინერესებულ პირებს სფეროში.

სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კოორდინაცია

- არ ხდება კერძო სექტორის ჩართულობის წახალისება, ადგილზე არსებული სოციალური პრობლემების მოგვარების კუთხით, მით უფრო, რომ ბაღდათის ერთ-ერთ სოფელში ნავთობ კომპანია BP გასცემს მცირე გრანტებს სოფლის მეურნეობის სფეროს განვითარებისთვის, რაშიც მუნიციპალიტეტის მონაწილეობა არ ხდება. კერძო სექტორის ჩართულობის აუცილებლობაზე, თავად მუნიციპალიტეტის თანამშრომლებიც აკეთებდნენ აქცენტს.
- ბავშვებსა და ოჯახებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია ხშირად თავს სკოლებსა და სააღმზრდელო დაწესებულებებში იყრის, მაგრამ არ მუშაობს მექანიზმი, რომელიც უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლას, საჭიროებების გამოვლენასა და ადრეულ პრევენციას შესაძლებელს გახდიდა.

10. მონაწილეთა რეკომენდაციები

თემის საჭიროებების შეფასების ფარგლებში, თითოეული ფოკუს ჯგუფის მონაწილეს ჰქონდა შესაძლებლობა გაეზიარებინა ის მნიშვნელოვანი შეხედულებები და რეკომენდაციები, რომლებიც მათი შეფასებით ხელს შეუწყობს ადგილზე სოციალური პრობლემების შემცირებას და ეფექტურს გახდის სამთავრობო უწყებების მუშაობას. წარმოდგენილი რეკომენდაციები დაყოფილია სამიზნე ჯგუფების მიხედვით და მოცემულია მხოლოდ ერთმანეთისაგან განსხვავებული მოსაზრებები.

აქტიური მოქალაქეების ჯგუფი

რეკომენდაციები სოციალურად დაუცველი ოჯახების გაძლიერებისთვის

- საჭიროების მქონე ოჯახების უზრუნველყოფა საკვები პროდუქტებით, მედიკამენტებითა და ტანსაცმლით;
- სოციალური დახმარების, საარსებო შემწეობის გაცემის პროცესში მუნიციპალიტეტის ჩართულობის უზრუნველყოფა, რათა მხოლოდ სოციალური აგენტის მიერ არ მოხდეს ოჯახის მდგომარეობის შეფასება;
- დასაქმების ხელშეწყობა და ამავდროულად, ოჯახებისათვის სოციალური დახმარების შენარჩუნება გავრცელდეს შრომის უნარის მქონე და საარსებო შემწეობის მიმღებ პირებზე.

რეკომენდაციები ახალგაზრდების ჩართულობისა და თემის განვითარებისთვის

- ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის რეკრეაციული და სპორტული მოედნების შექმნა;
- ახალგაზრდებისთვის თავშეყრის ადგილის მოწყობა, სადაც ინფორმაციის გაცვლას, დისკუსიას, ფილმების ყურებას, აქტივობების დაგეგმვას შეძლებენ;
- ტრანსპორტირების საკითხში შუამდგომლობა კერძო კომპანიასთან, მგზავრობის გრაფიკის გახანგრძლივებისა და ახალგაზრდებისთვის შეღავათიანი ტარიფის დაწესების მიზნით;
- თემის ჩართულობისაკენ მიმართული აქტივობების დაგეგმვის კუთხით მუნიციპალიტეტის გააქტიურება (ღონისძიებები მოეწყოს არა მხოლოდ დღესასწაულებზე, არამედ სხვა დროსაც);
- დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ მოსახლეობის სათანადოდ ინფორმირება, რათა ყველას თანაბრად მიუწვდებოდეს ხელი ჩართულობაზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები

რეკომენდაციები სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და სოციალური სამსახურის გაძლიერებისთვის

- დასაქმების ხელშეწყობა და ადგილობრივ დონეზე საწარმოების განვითარება;
- კერძო სექტორთან თანამშრომლობის გაძლიერება, რათა შესაძლებელი გახდეს მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით იმ პრობლემების მოგვარება, რაც ოჯახებს აქვთ;

- ერთჯერადი ფინანსური დახმარებების გაუქმებამდე, პროცესის პარალელურად გრძელვადიანი პროგრამების ინიცირება და ოჯახის გაძლიერებაზე მიმართული ღონისძიებების დაგეგმვა;
- სამედიცინო დახმარების მიმღებ პირთათვის გარკვეული ზღვარის დაწესება, რომლის ქვემოთ არსებული თანხის დაფინანსებაც არ ჩაითვლება მიზანშეწონილად;
- რაღაც ზღვარი უნდა იყოს, რამდენი უნდა რჩებოდეს თავისი გადასახდელი და იმის ზემოთ დავაფინანსოთ, ჯანდაცვის პროგრამებში დაფინანსება;
- გამოვლენილი პრობლემების საპასუხოდ გეგმის შემუშავება და პროგრამების დაგეგმვა;
- სამსახურის თანამშრომელთა გადამზადება ბიუჯეტირების საკითხებში.

ბენეფიციარები

რეკომენდაციები სოციალურად დაუცველი ოჯახების გაძლიერებისთვის

- დასაქმების ხელშეწყობა და ამავდროულად, მშობლების შემთხვევაში ბავშვის დამტოვებლის საკითხის გათვალისწინება. ოჯახების, განსაკუთრებით, მრავალშვილიანი და მარტოხელა მშობლების საჭიროებების გათვალისწინება დასაქმებისას;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (რომლებიც მუდმივ ზრუნვას საჭიროებენ) მშობლებისათვის სახელმწიფო დახმარების არსებობა, რადგან თავად ვერ ახერხებენ მუშაობას;
- სახელმწიფოს მიერ პროგრამებისა და საკანონმდებლო ბაზის შემუშავებისას მიზნობრიობისა და საჭიროებების უკეთ განსაზღვრა;
- მედიკამენტზე შეღავათების გაძლიერება;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის სარეაბილიტაციო მომსახურებისა და დღის ცენტრის ადგილობრივ დონეზე დანერგვა;
- ერთჯერადი დახმარებების გარდა, მუდმივი მხარდაჭერა და მუშაობა საჭიროების მქონე ოჯახებთან, მათ შორის კვებით უზრუნველყოფა;
- ძალადობის შემთხვევებში ბავშვისა და დედის დახმარება და მათი გაძლიერების მხარდაჭერა;
- კვების ვაუჩერების შემოღება, რომლის გამოყენებასაც ოჯახები სურსათის მაღაზიებში შეძლებენ.

ფორმალური ლიდერები

რეკომენდაციები თემის გაძლიერებისთვის

- კერძო სექტორის მხრიდან ისეთი სივრცის მოწყობა, რომელიც ყველა პირზე იქნება გათვლილი, მაგალითად სპორტულ-გამაჯანსაღებელი დარბაზი, მოედანი;
- პროგრამების შემუშავებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში კოორდინაციის გაღრმავება;
- სხვადასხვა საგანმანათლებლო ტრენინგების ორგანიზება მუნიციპალიტეტის მიერ;
- სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება, მაგალითად მარტოხელა მშობლების კუთხით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;
2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N77; www.bagdati.gov.ge
3. საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი, მიგრაციის საკითხთა კომიტეტი;
4. საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობის სტატისტიკური ცხრილი, www.ssa.gov.ge;
5. American Medical Association, 2004
6. ახალგაზრდული საბჭოს დებულება;
7. შშმ პირთა საბჭოს დებულება;
8. გენდერული საბჭოს დებულება;
9. მომსახურების შეფასების კვლევა, 2018, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია
10. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული პროგრამული და სტატისტიკური ინფორმაცია;
11. ბავშვთა კეთილდღეობა და სოციალური დაცვა საქართველოში, UNICEF, 2015

დანართი

სადიკსუსიო გეგმა / გზამკვლევი მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისთვის

საკვლევი საკითხი	ძირითადი კითხვები	შენიშვნა/კომენტარი
გაცნობითი/შესავალი ნაწილი	<ul style="list-style-type: none"> - მისაღება / წარდგენა / მონაწილეთა გაცნობა; - კვლევის მიზნების, ფორმატის და პრინციპების გაცნობა (კონფიდენციალობის კომონენტი); - აუდიო ჩანაწერის განხორციელებაზე თანხმობის მოპოვება. 	ამ ნაწილის მიზანია მონაწილეთა მომზადება და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა.
თემში არსებული სოციალური პრობლემები და თემის რესურსები	<ol style="list-style-type: none"> 1. თემში არსებული ყველაზე მწვავე სოციალური პრობლემები; 2. თემში მცხოვრები ტიპური ოჯახის პროფილი (გონებრივი იერიშის მეთოდით) 3. თემში მცხოვრები მოწყვლადი ოჯახის პროფილი (გონებრივი იერიშის მეთოდით) 4. თქვენს მუნიციპალიტეტში, რა ძლიერი მხარეები და რესურსებია ადგილობრივ დონეზე სოციალური პრობლემების დასაძლევად? 	აქცენტი უნდა გაკეთდეს თემში არსებული ზოგადი მდგომარეობის, სოციალური კუთხით არსებული გამოწვევების გამოკვეთაზე და ამასთან იმ რესურსების იდენტიფიცირებაზე, რითაც შეიძლება დაიძლიოს პრობლემა
თემში არსებული მომსახურებები / პროგრამები	<ol style="list-style-type: none"> 5. ვინ/რომელი უწყებები და ორგანიზაციები მუშაობენ ამ პრობლემების დაძლევაზე? როგორ ხდება ამ პრობლემების მოგვარება? რეაგირების რა შესაძლებლობები არსებობს? 6. რა მიმდინარე პროგრამები და მომსახურებები გაქვთ მოწყვლადი ოჯახების მხარდაჭერისათვის? შშმ პირთათვის, ქალებისათვის? ახალგაზრდებისთვის, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის? ძალადობის მსხვერპლი პირებისთვის? 7. როგორია სერვისის მიღების პროცედურა? 8. რისი მიხედვით იქმნება/ყალიბდება ახალი პროგრამები? 9. როგორ აფასებთ თქვენი სამსახურის გაწეულ მომსახურებებს? რამდენად პასუხობს თემის საჭიროებებს? აქვს რეალური გავლენა? 10. რისი შეცვლა/გაუმჯობესებაა საჭირო ამ მიმართულებით? 	სამსახურის საქმიანობის შესახებ მაქსიმალურად დეტალური ინფორმაციის მოძიება. ყურადღების გამახვილება პროგრამების შექმნასა და თანამშრომელთა მხრიდან ეფექტიანობის შეფასებაზე
თანამშრომლობა და კოორდინაცია	<ol style="list-style-type: none"> 11. რომელ ორგანიზაციებთან/უწყებებთან გიწევთ ყველაზე ხშირად თანამშრომლობა? 12. როგორ აფასებთ არსებული თანამშრომლობის პრაქტიკას? 	მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს რამდენად კოორდინაციაშია ადგილობრივი მუნიციპალიტეტი სერვისის მიმწოდებელ სხვა უწყებებთან
რეკომენდაციები	<ol style="list-style-type: none"> 13. რა უნდა გაკეთდეს თემში არსებული სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად? რა როლი შეუძლია ჰქონდეს თქვენს სამსახურს ამ პროცესში? 14. რა ტიპის რესურსების მობილიზებაა საჭირო? ვის მიერ? 	მნიშვნელოვანია მიღებულ იქნას მაქსიმალურად კონკრეტული და დეტალური ინფორმაცია ამ საკითხებზე.

სადიკუსიო გეგმა / გზამკვლევი თემის ფორმალური და არაფორმალური ლიდერებისთვის

საკვლევი საკითხი	ძირითადი კითხვები	შენიშვნა/კომენტარი ინტერვიუებისთვის
გაცნობითი/შესავალი ნაწილი	<ul style="list-style-type: none"> - მისალმება / წარდგენა / მონაწილეთა გაცნობა; - კვლევის მიზნების, ფორმატის და პრინციპების გაცნობა (კონფიდენციალობის კომონენტი); - აუდიო ჩანაწერის განხორციელებაზე თანხმობის მოპოვება. 	ამ ნაწილის მიზანია მონაწილეთა მომზადება და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა.
თემში არსებული სოციალური პრობლემები და თემის რესურსები	<ol style="list-style-type: none"> 1. თემში არსებული ყველაზე მწვავე სოციალური პრობლემები; 2. თემში მცხოვრები ტიპური ოჯახის პროფილი (გონებრივი იერიშის მეთოდით) 3. თემში მცხოვრები მოწყვლადი ოჯახის პროფილი (გონებრივი იერიშის მეთოდით) 4. თქვენს მუნიციპალიტეტში, რა ძლიერი მხარეები და რესურსებია ადგილობრივ დონეზე სოციალური პრობლემების დასაძლევად? 	აქცენტი უნდა გაკეთდეს თემში არსებული ზოგადი მდგომარეობის, სოციალური კუთხით არსებული გამოწვევების გამოკვეთაზე და ამასთან იმ რესურსების იდენტიფიცირებაზე, რითაც შეიძლება დაიძლიოს პრობლემა
არსებული მომსახურებები / პროგრამები	<ol style="list-style-type: none"> 5. რა პროგრამებისა და მომსახურებების შესახებ გსმენიათ მოწყვლადი ოჯახების მხარდაჭერისათვის? შშმ პირთათვის, ქალებისათვის? ახალგაზრდებისთვის, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის? ძალადობის მსხვერპლი პირებისთვის? 6. რამდენად პასუხობს თემის საჭიროებებს? აქვს რეალური გავლენა? 7. რამდენად ხელმისაწვდომია ეს მომსახურები საჭიროების მქონე პირებისათვის? 8. რადენად ხდება თქვენი ჩართულობა სხვადასხვა პროგრამის შემუშავებაში? 9. რისი შეცვლა/გაუმჯობესებაა საჭირო ამ მიმართულებით? 	ყურადღების გამახვილება პროგრამების მიწოდების შესახებ ინფორმირებულობასა და მათ გარშემო ბენეფიციართა საჭიროებებზე
თანამშრომლობა და კოორდინაცია	<ol style="list-style-type: none"> 10. რომელ ორგანიზაციებთან/უწყებებთან გიწევთ ყველაზე ხშირად თანამშრომლობა? 11. როგორ აფასებთ არსებული თანამშრომლობის პრაქტიკას? 	მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს რომელია სერვისის მიმწოდებელი ძირითადი უწყებები და რა საკითხებზე ხდება მათთან მიმართვა
რეკომენდაციები	<ol style="list-style-type: none"> 12. რა უნდა გაკეთდეს თემში არსებული სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად? რა როლი შეუძლია ჰქონდეს თემის წევრებს ამ პროცესში? 13. რა ტიპის რესურსების მობილიზებაა საჭირო? ვის მიერ? თქვენი როლი როგორი შეიძლება იყოს? 	მნიშვნელოვანია მიღებულ იქნას მაქსიმალურად კონკრეტული და დეტალური ინფორმაცია ამ საკითხებზე.

სადიკუსიო გეგმა / გზამკვლევი მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებისთვის

საკვლევი საკითხი	ძირითადი კითხვები	შენიშვნა/კომენტარი ინტერვიუერისთვის
გაცნობითი/შესავალი ნაწილი	<ul style="list-style-type: none"> - მისალმება / წარდგენა / მონაწილეთა გაცნობა; - კვლევის მიზნების, ფორმატის და პრინციპების გაცნობა (კონფიდენციალობის კომონენტი); - აუდიო ჩანაწერის განხორციელებაზე თანხმობის მოპოვება. 	ამ ნაწილის მიზანია მონაწილეთა მომზადება და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა.
თემში არსებული სოციალური პრობლემები	<ol style="list-style-type: none"> 1. რომელია ყველაზე მწვავე პრობლემები თემში? 2. თქვენი შეფასებით, რა ძირითადი გამოწვევების წინაშე დგანან ბავშვიან ოჯახები, ახალგაზრდები, ხანდაზმულები? როგორ ფიქრობთ, რა არის ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზები? რამდენად გავრცელებულია ეს პრობლემა? 3. თქვენი აზრით, რა ძლიერი მხარეები და რესურსებია ადგილობრივ დონეზე ამ საკითხების გადასაწყვეტად? 	თემის ზოგადი მდგომარეობის შეფასება და მწვავე პრობლემების იდენტიფიცირება.
ინფორმირებულობა არსებული მომსახურების შესახებ	<ol style="list-style-type: none"> 4. რა პროგრამებისა და მომსახურებების შესახებ გასმენიათ? 5. როგორ ხდება ამ მომსახურებების მიღება? რა კრიტერიუმები და პროცედურებია? 6. რამდენად პასუხობს თემის საჭიროებებს? აქვს რეალური გავლენა? 7. რამდენად ხელმისაწვდომია ეს მომსახურები საჭიროების მქონე პირებისათვის? 8. რადენად ხდება თქვენი ჩართულობა სხვადასხვა პროგრამის შემუშავებაში? შეფასებაში? 9. რისი შეცვლა/გაუმჯობესებაა საჭირო ამ მიმართულებით? 	ყურადღების გამახველება პროგრამების შესახებ არსებულ ინფორმაციასა და კრიტერიუმებზე. ხელმისაწვდომობის დადგენა
რეკომენდაციები / მოსაზრებები გაუმჯობესებისთვის	<ol style="list-style-type: none"> 10. რა უნდა გაკეთდეს თემში არსებული სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად? 11. რა უნდა გაკეთდეს თქვენი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის? ვის მიერ უნდა მოხდეს ოჯახების მხარდაჭერა? 12. თქვენ რა როლი შეგიძლიათ იქონიოთ დასახელებული სოციალური პრობლემების მოგვარებაში? 	მნიშვნელოვანია მიღებულ იქნას მაქსიმალურად კონკრეტული და დეტალური ინფორმაცია ამ საკითხებზე.
	13.	